



საქართველო — ღილაკაპერში!

გაბათს, 12 თებერვალს ახალი ფურცლით შეივსება ქართული სპორტის გაბათს — საქართველოს სპორტული ღილაკაპერ პირველად, დაეწინაურება იასაკრეზებს ოლიმპიურ თამაშებში — ღილაკაპერში



საქართველოს სპორტული ღილაკაპერის ოლიმპიური ნაკრები

11-13 თებერვალი, 1994 წ.
№ 4 (10872) ● ფასი 5000 კუპონი


გამომოს 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ოლიმპიური ნაკრები

კახა

ვასტანგიშვილი

ციგარტა
დაიბადა 1970 წლის 2 აპრილს, ბაკურიანში.
სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.
მწვრთნელი ზაალ გურეშიძე.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982 წელს.
ნაკრებშია 1987 წლიდან.
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი წყვილებში. ავსტრიაში მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი (1989). 1990 წელს სიგულდაში (ლატვია) ზამთრის VII სპარტაკიადზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.



სურათზე: კ. ვასტანგიშვილი (მარცხნივ) და ლ. თიბილოვი.

ლევან თიბილოვი

ციგარტა
დაიბადა 1970 წლის 30 ივლისს ბაკურიანში.
სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.
მწვრთნელი ზაალ გურეშიძე.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1982 წელს.
ნაკრებშია 1987 წლიდან.
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი წყვილებში. ავსტრიაში მოიგო მსოფლიოს თასის ეტაპი (1989). 1990 წელს სიგულდაში (ლატვია) ზამთრის VII სპარტაკიადზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ლილეამერში გამოვა ტრავმირებული.

ლევან

აბრამიშვილი

სამთო-სათხილამურო

სპორტი

დაიბადა 1970 წლის 27 ივლისს ბაკურიანში.
სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.
მწვრთნელი გერა აბრამიშვილი.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს.

ნაკრებშია 1988 წლიდან.
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სახეობებში.



გონა ზელიძე

სამთო-სათხილამურო

სპორტი

დაიბადა 1969 წელს მესტიაში.
სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.
მწვრთნელი გივი ჯაფარიძე და გერა აბრამიშვილი.

სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1979 წელს.
ნაკრებშია 1988 წლიდან.
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი სამთო-სათხილამურო სახეობებში.
ოლიმპიადების მზადების პერიოდში მძიმე ტრავმა მიიღო.

სპორტსაზოგადოება „დინამო“.
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.
მწვრთნელი გერა აბრამიშვილი.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1988 წელს.
ნაკრებშია 1985 წლიდან.
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი, სსრკ ჩემპიონი სწრაფდაშვებაში ახალგაზრდებს შორის.

ზურაბ ჯიჯიშვილი

სამთო-სათხილამურო

სპორტი

დაიბადა 1973 წლის 28 სექტემბერს ბაკურიანში.

სურათზე: (მარცხნიდან): ლევან აბრამიშვილი, გონა ჯელიძე, ზურაბ ჯიჯიშვილი.

კახა წაბაძე

ტრამპლინიდან ჩონილამურებით

სპორტი

დაიბადა 1969 წლის 28 აპრილს ბაკურიანში.
სპორტსაზოგადოება „დინამო“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.
მწვრთნელი კობა წაბაძე.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს.

ნაკრებშია 1988 წლიდან.
საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი, მრავალჯერ ჩემპიონი უოფლი საკვეთრო თასის მფლობელი, ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონი 90 მ. ტრამპლინიდან ჩონილაში (1990 წ.).

სურათზე: კ. წაბაძე.



თითარი ოლიმპიადები ერთ მხარეში

ზამთრის ოლიმპიური თამაშები, როგორც წესი, იანვარ-თებერვლის პერიოდში იმართება, ეს დრო ოპტიმალურად მიჩნეულია კლიმატური თვალსაზრისით და სპორტსმენთა ფიზიკური მზადყოფნის მხრივ. პირველ თეთრ ოლიმპიადებში 16 ქვეყნის 293 სპორტსმენი ასპარეზობდა. მომდევნო თამაშებში ამ ორივე მაჩვენებელმა საგრძობლად იმატა და ბოლოს ალბერტილში, შესაბამისად 64-სა და 2124-ს მიაღწია, თუმცა ამ მონაცემებს უფრო თვალსაზრისით წარმოვიდგინოთ ცხრილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

I	შამონი	1924	293	16
II	სანკტ-მორიცი	1928	491	25
III	ლეიკ-პლენი	1932	307	17
IV	გარშიშ-პარტენი	1936	756	28
V	სანკტ-მორიცი	1948	718	28
VI	ოსლო	1952	782	30
VII	კორტინა დამპეცო	1956	924	38
VIII	სკვო-ველი	1960	865	31
IX	ინსბრუკი	1964	1111	37
X	გრენობლი	1968	1158	37
XI	საპორო	1972	1012	35
XII	ინსბრუკი	1976	1064	37
XIII	ლეიკ-პლენი	1980	1074	37
XIV	სარაევო	1984	1410	49
XV	კალგარი	1988	1989	57
XVI	ალბერტილი	1992	2124	64

შენიშვნა: პირველი მწკრივი აღნიშნავს ოლიმპიადების რიგით ნომერს, მეორე — ქალაქს, რომელშიც მოეწყო თამაშები, მესამე — წელს, მეოთხე — სპორტსმენთა, მეხუთე კი — მონაწილე ქვეყნების რაოდენობას. 1940 და 1944 წლებში მეორე მსოფლიო ომის გამო არ გამოიარულა სანკტ-მორიცი და კორტინა დამპეცო თამაშები.

იხ. გვ. 2 გვ.

ახალი ცნობები

აზარა იფვივს ზაზუა ფახაურთელთა

ეპროკის ჩემპიონატს


სფშ-მ ოფიციალური წინადადებით მიმართა უკრაინისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებს, რათა 18 წლამდე ჰაბუკუა შორის ევროპის ჩემპიონატის VIII შესავალი შეეხებინათ.

მერაბ ყურაშვილი მიემგზავრება პარიზს

მოსკოვი. მძლეოსნთა საქართველოს შიგნითა (რუსული ზამთარი) ნაჩვენებია რამდენიმე მაღალი შედეგი. იამიკელმა მერაბ იფვივსმა 50 მეტრზე რბენაში დასურთული დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 6,0. ეს შედეგი 3 მეთაური წამით აღემატება ირინა პრივალოვას რამდენიმე დღის წინ ნაჩვენებ უმაღლეს მიღწევას.

ძნელი დასაჯარმელია. მებრძ...

ბრანდოლი. ფანტასტიკური, დაუჭრებელი ცნობა მოვიდა საფრანგეთის ამ ქალაქიდან, სადაც მძლეოსნობა მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. რუსეთის წარმომადგენელმა ლეონიდ გო-



სხუი პრიზიორი

ცხრა ქართველი ფალაგანი ასპარეზობდა ოთხ წონით კატეგორიაში, ძიუდოსიტა მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირზე.

65 კგ წონით კატეგორიაში ქართული ფინალს იხილა მოსკოველმა მაყურებელმა — გორელი გიორგი ვახაგვილი და საგარეოელი გიორგი რევაზიშვილი ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველ ადგილს. საბოლოო გამარჯვება გორელ მოჭიდავეს ღარჩა. 95 კგ წონაში სამი ჩემპიონი მოჭიდავე ასპარეზობდა. საპრიზო ადგილები კი გორელმა რამაზ ჩოჩიშვილმა (მეორე) და თბილისელმა მეკლდე ლომეანიძემ (III) დაიკავეს. კიდევ ერთი მესამე ადგილი მოუტანა საქართველოს გუნდს ახმეტელმა მძიმეწონისანმა ალექსანდრე დავითაშვილმა. აბსოლუტური პირველობა არ გთავაზობს.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი მოკლდეველმა მეორე ადგილი დაიკავეს. ისინი ცოტათი ჩამორჩნენ გამარჯვებულს — რუსეთის ნაკრებს (მედალებისთვის ქართველებმა მოიპოვეს ერთი ოქროს, ორი ვერცხლის და ორივე ბრინჯაოს მედალი, ხოლო რუსეთის გუნდის 49 მონაწილემ — ერთი ოქრო, ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი).

რჩევი ჯგუფის მინიტურნირი გაიმართა აჭარაში (ბათუმი, ქობულეთი) 22-დან — 26 ოქტომბრის ჩათვლით.

იმავე შეჯიბრებაში წარმატებით დასაპრება ჩემპიონი თანამემამულემ მერაბ ყურაშვილმა. ბირთვის კვრებაში აჩვენა 18 მ 23 სმ და მესამე ადგილი დაიკავა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი მაჩვენებელი მხოლოდ 1 სანტიმეტრით ჩამორჩა მეორე შედეგს. მერაბ ყურაშვილი მონაწილეობას მიიღებს ევროპის ზამთრის პირველობაში, რომელსაც პარიზი უმასპინძლებს.

ლოშინმა სამხტომში 18 მეტრი და 77 სანტიმეტრი დაძლია და, ბუნებრივია, გააუმჯობესა ამერიკელი ვილი ბენქსის მსოფლიო რეკორდი — 17 მ 97 სმ (1985 წელი, ინდიანაპოლისი).

ყველა ოლიმპიადის ჯამში



როდესაც ვამბობთ, რომ ზამთრის თევზსმეტი ოლიმპიადის ჯამში მელდები მოპოვებული აქვთ 30 ქვეყნის წარმომადგენლებს, ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღებას: სხვადასხვა დროს თამაშებში ცალ-ცალკე მონაწილეობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ერთიანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დსთ) დელეგაციამ შევსა. ამიტომ ამ უკანასკნელის მიერ აღბერვლილი მოპოვებული მელდები ცალკეა აღრიცხული.

ყველაზე ბევრი ოლიმპიური ჯილდო სსრკ-სა და ნორვეგიის სპორტსმენებს აქვთ მოპოვებული — თითოეულს 185. რაც შეეხება ოქროს მელდებს, აქ სსრკ-ის დელეგაცია ამჟამად დაწინაურებულია. გთავაზობთ წინა 16 ოლიმპიადის მელდოსანთა ნაკრებ ცხრილს:

Table with 4 columns: Rank, Name, Gold, Silver, Bronze, Total. Lists athletes like 1. სსრკ, 2. ნორვეგია, 3. აშშ, etc.

წელაულს 100 წელი სრულდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შექმნიდან...

დაიბ, თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ორგანოს ასაკი საუკუნეს გაუტოლდა. სოკი შეიქმნა 1894 წლის 23 ივნისს ფრანგი მოღვაწის პიერ დე კუბერტენის ინიციატივით პარიზის საერთაშორისო კონგრესზე. კონგრესი მიეძღვნა სპორტის აქტუალურ პრობლემებს. სოკის პირველ შემადგენლობაში შევიდნენ არგენტინის, ბელგიის, ბოჰემიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, იტალიის, ახალი ზელანდიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ბერძენი მწერალი და ფილოლოგი დიმიტრიოს ვიკელასი, გენერალ-მდივანად კი ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პიერ დე კუბერტენი.

სოკის დამფუძნებლები იყვნენ იმდროინდელი სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ბარონი პიერ დე კუბერტენი (საფრანგეთი), პროფესორი უ. მ. სლოუნი (აშშ), ლორდი ამპტჰილი (დიდი ბრიტანეთი), თავადი დანდრია კარავა (იტალია), გრაფი მ. დე ბუნი (ბელგია), ი. ვერტიკოვსკი (ბოჰემია), დ. ვიკელასი (საბერძნეთი), გენერალი ა. დ. ბუტოკი (რუსეთი), გენერალი ვ. ბალვი (შვეიცარია), დოქტორი ჰ. ბ. სუბიური (არგენტინა), ლ. ა. კაიდი (ახალი ზელანდია), ფ. კემენი (უნგრეთი), ვ. კალა (საფრანგეთი), ჩ. პერბერტი (ახალი ბრიტანეთი), გრაფი ლუკაზი პალი (იტალია), ვ. გუბარდტი (გერმანია).

ლიც 1972-78 წლებში „ოლიმპიურ წესებში“ იწოდებოდა. ოლიმპიური ქარტის თანახმად სოკი მოწოდებულია ხელი შეუწყოს სამოყვარულო სპორტის განვითარებას, ახალგაზრდობის აღზრდას ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით, ხალხთა შორის კეთილი ნებისა და დამოკიდებულების განმტკიცებას. ამავდროს სოკი ვალდებულია ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ გამართოს ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ხელი შეუწყოს და უზენაესად ეხმაროს სამოყვარულო სპორტის განვითარებას მთელ მსოფლიოში.

სოკი, როგორც უმაღლესი ოლიმპიური ინსტიტუტი, იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) და სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების (სსფ) აღიარების შესახებ, განსაზღვრავს ზაფხულისა და ზამთრის თამაშების პროგრამებს, ირჩევს ოლიმპიური თამაშების მომწყობ ქალაქს, აწესებს და ანიჭებს ოლიმპიურ ჯილდოებს. იგი გადაწყვეტს და საბოლოო სიტყვას ამბობს ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციასთან და გამართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

სოკის სესიებს შორის პერიოდში მიმდინარე საკითხებს აგვარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი, რომლის შემადგენლობაში შედიან: სოკის პრეზიდენტი, სამი ვიცე-პრეზიდენტი და ხუთი წევრი. სოკის სისტემაში შექმნილია მრავალი კომისიები, რომლებიც შეისწავლიან ოლიმპიურ მოძრაობასთან, თამაშების ორგანიზაციასთან და გამართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. კომისიების შემადგენლობაში შედიან სოკის წევრები, აგრეთვე, ექსპერტები, ეკვიპის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელსაც ოლიმპიური ქარტის თანახმად ირჩევენ 8 წლით (მომდევნო ოთხწლიან პერიოდებში ხელახალი არჩევს უფლებით). სოკის პრეზიდენტი ირჩევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიანზე ფარული კენჭისყრით, სემების აბსოლუტური უმრავლესობით.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი

სოკის ბიუჯეტი დედა თამაშების ტელევიზიულად და რადიოტელევიზიულად გაყიდვით, შემოსული თანხისა და სხვადასხვა შემოწირულებისგან. ბიუჯეტის ნაწილს სოკი იყენებს სამოყვარულო სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციის განვითარებისთვის. სოკის ოფიციალური ენებია: ფრანგული და ინგლისური (სესიების მსვლელობაში ხდება ძირითად მასალათა სინქრონული თარგმან გერმანულ, ესპანურ და რუსულ ენებზე). იგი გამოსცემს ოფიციალურ ჟურნალს „რევიუ ოლიმპიკს“ („ოლიმპიური მიმოხილვა“) ოფიციალურ საცნობარო ლიტერატურას და სხვა მეთოდურ მასალებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელსაც ოლიმპიური ქარტის თანახმად ირჩევენ 8 წლით (მომდევნო ოთხწლიან პერიოდებში ხელახალი არჩევს უფლებით). სოკის პრეზიდენტი ირჩევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიანზე ფარული კენჭისყრით, სემების აბსოლუტური უმრავლესობით.

სოკის პრეზიდენტები იყვნენ: დიმიტრიოს ვიკელასი (1894-1896 წლებში, საბერძნეთი), პიერ დე კუბერტენი (1896-1916 და 1919-1925, საფრანგეთი), 1916-1919 წლებში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა ვ. დე ბლონი (შვეიცარია). ახრი დე ბიე-ლატური (1925-1942, ბელგია), იუჰანეს ნიგრიდ ელსტიომი (1942-1952, შვეიცარია), ეიფერი ბრენდცი (1952-1972, აშშ), შაიკლ მორის კილანი (1972-1980, ირლანდია), სუან ანტონია სამარანი (1980-დან, ესპანეთი).

მედიცინა — გახეი

ლიტვაში ზამთრის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია ჩვენთვის უცნობი სპორტის სახეობა შორტ-ტრეკი. გავიხსენებთ რა არის იგი, ვინ გამოიგონა, როდის და როგორ გავრცელდა.

ზიმეი დევეტრაჰე, პასტანა მესტი, თხმლისი. შორტ-ტრეკი საციგურაო სპორტის ნაირსახეობაა. შეიქმნა ევროპა ე. წ. მოკლე ბოლიზე 500, 1000 მ და ა. შ. რბოლაში. აგრეთვე, ესტაფეტებში. შორტ-ტრეკი გამოიგონა გასული საუკუნის მიწურულს ამერიკაში. კონკრეტულად ვინ გამოიგონა — უცნობია. ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ შორტ-ტრეკი გაჩნდა ბრიტანეთში, მაგრამ პოპულარობა კუნძულზე ვერ მოიხვეჭა. ერთმა ინგლისელმა სპორტის

ეს სახეობა ჩაიტანა კანადაში და იქ მოაწყო პირველი შეჯიბრება. კანადელები, ბუნებრივია, ამ ვერსიას არ იზიარებენ. მათი აზრით, არაერთი ინგლისელი არ არსებობდა. შორტ-ტრეკი მოიგონეს კანადელებმა უცხოელთა დახმარების გარეშე. დღეს კაცმა არ იცის, ვინ არის მართალი ამ დავაში. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ პირველი ეროვნული ჩემპიონატი ციგურაოლს ამ ნაირსახეობაში სწორედ კანადაში მოეწყო (1905 წელს). გამარჯვება მოიპოვა ვინმე ფრედ ლოკინმა. ერთი წლის შემდეგ კანადელთა სამხრეთელმა მეზობლებმა — ამერიკელებმა ჩაატარეს თავიანთი ეროვნული ჩემპიონატი. გამარჯვება მოიპოვა მორის ეულმა. რაც შეეხება ინგლისელებს, მათ პირველი სრულიად ბრიტანული ასპარეზობა მხოლოდ 1930 წელს მოაწვეეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამერიკელები და კანადელები ეროვნულ ჩემპიონატებს დღევანდელი წესებით ატარებდნენ. უძლიერესის სახელს ანიჭებდნენ ქულათა ჯამის მიხედვით.

გეოგრაფიკული გლდანს მიაგარს

სურათზე: ვალაქთ კულა გლდანელის ნეშტი. აღქმანდრე კატორაშვილის ფოტო.



ვალაქი ვალაქთ კულა ნათქვამი სულაც არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდელი ქართული სახელად სკოლის ძლიერება უმთავრესად მოდის სწორუპოვარი ფალანგის კულა გლდანელისა და ნესტორ ენებუასაგან, რომლებმაც შორს გაუთქვეს ჩვენს ყანას სახელი. მათ პოპულარობაზე მტკიცებულს ცნობილი ლექსები, აქვთ რომ მოუძღვანა ამ ორ მესანიშნავ ფალანგს: „ამბობენ, კულა გლდანელი ვანთქმული ფალანგია. მან საქილით გამართა, მოიგდო გლდანია, ზოგს სარმით ავიტრიალებს, ზოგიც ვალაქთ კულას ვერ მოითმნა თან სწორი ამ ქართლ-კახეთის პირას. ეს ქუთაისში ვაიგეს, შუბლზე იტაცეს ზელო, ხუთუ ქართლსა და კახეთსა ვეკვიცი შემოვილა. როგორთუ კულა გლდანელმა ქვეყანა ააბუა, მოდიო და მასთან დაეგზავნოთ მგერული ესებუაო.“

ეთ აღმოჩნდა და გაქრა კიდევ (იქ სკოლა ააშენეს). ბედად, გლდანელის დაქრძლევას დასწრებია კულას ოსტატობის დიდ თავყანისმცემლო, ჩულურეთელი ჰაბუეი შოთა ზაზიაშვილი, ცნობილი თვითნასწავლი მხატვრის ვაჟი, რომელმაც გულდაგულ დაამსოვრა ის აღვილი, სადაც კულა დასაფლავეს. ამას წინათ შოთა ზაზიაშვილს შეუჩივლია ჩვენი კოლეგისთვის — სპორტულ ჟურნალისტ გაბრიელ ბარჯაძისთვის, რომ იქ, სადაც გლდანელი ასვენია, ბიჭები ბურთის თამაშობენო. ჟურნალისტი დაუკავშირა ქალაქის სპორტკომიტეტს თამაშდომარეს ვლადიმერ კახკა რომლის თაოსნობითაც გასულ ბათს კულა გლდანელის ნეშტი მშობლიურ სოფელ გლდანში გადაასვენეს. გადასვენების შთელი სოფელი და ქართული ქილიობის ელიტა დაესწრო. აქ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. სტუმრებმა სახლში, სადაც დაიბადა კულა და 15 წლამდე იზრდებოდა, გაიხსენეს სახელგანთქმული მოჭიდავე, კიქას თავი წაუქციეს... და, რა თქმა უნდა, გაისმა „საქილიაო“ ქსოვერების დასეტის შესრულებით, კულას შთამომავლები — გლდანელი „ყვინჩილები“ ტრადიციულ ნაწარმოყრილ საჭიდაოზე შეერკინენ ერთმანეთს.

ბასული საუბრის პრესა წერდა...

ვიღობა და მოვიღავინო

გაზეთი „ნოვოე ჭრემია“ ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი სათაურით „ქილიობა და მოჭიდავენი“. წერილის ავტორს შეუკრებია საყურადღებო ცნობანი იმის შესახებ, როგორი ქილიობა იცის სხვადასხვა ერმა და ვისა ჰყავს გამოჩენილი მოჭიდავენი. ყველაზე უფრო ქილიობა გავრცელებული ყოფილა შვეიცარიაში. აქ ისე უყურებენ ქილიობას, როგორც წინასათვის სასარგებლო ვარჯიშობას. ძლიერა ჰყვარებიათ ქილიობა ოსმალეთში, მთელი ქვეყნის მოჭიდავეთა შორის პირველი ფალანგი ყოფილა ოსმალეთის უსუფი, რომელსაც ოსმალები პაპა უსუფს ეძახიან. ამ პაპა უსუფს პარიკში წაუქცივია სახელოვანი ფალანგი და მთელს ქვეყნიერებაზედ ღონით განთქმული კაცი გვარად პონსი. ქილიობა ჰყვარებიათ აგრეთვე ბულგარულს. ამათში სახელოვანი ფალანგი ყოფილა ნიკოლა პეტრო, რომელსაც პარიკში უქიდავინია და ბევრი ფალანგი გაუღახავს. დასასრულს შემოსენებული წერილის ავტორი სწერს, რომ კავკასიაში ბევრი კარგი მოჭიდავეა, მაგრამ ყველაზედ სახელოვანი არიან: ნესტორ ესე-

ბუა, რომელიც ტანით მთელ ქვეყანაზედ ცნობილ მოჭიდავეებზე მალაი არის და საშეგრელოში პირველ ფალანგად ითვლება და კულა-გლდანელი.

„ივერია“, 1897 წ. 26 აგვისტო.

ინგლისის საზოგადოება ასლა იმით არის თურმე გაოცებული, რომ ქალი ისე შეგვივარდა როგორ ისვრის, როგორც ამერიკელი ანა ოკლეი შვრებო. ეს ამირებული მანდილოსანი შეგვივარდა ისვრის თურმე თოფსაც და დამბახასაც. პრინც უელსისას ამ ქალისათვის ოქროს დიდი მედალი უჩუქებია. ჯერ არ გავიხსენა, რომ ვეუკაც-მსროლელს ვისმე მედლოს ამისთანა ჯილდო. ეს გულ-შვიდი და გულ-ღინჯი ამერიკელი ქალი მართლაც მშვენივრად ისვრის თურმე. მაგალითებ, თავის ქმრის თავზე დადგულ შუშის ბურთს რამდენჯერაც იყოს, ისე ესვრის თურმე, რომ ერთხელ არ აცდენსო.

„ივერია“, 1887 წ. 26 ნოემბერი.

ვიღობა და მოვიღავინო იაკონიაში იაკონიის ქალაქ ტოკოში, იოკონის ტაძარში წელიწადში ორ-

ჯერ იმართება ქილიობა, მისში და ნომებრში, ქილიობის დღეს ტოკოს მცხოვრებლებს დიდი აღფრევება ეტყობათ. აუარებელი ხალხი მიაწყლება ხოლმე იოკონის ტაძარს, რომელიც ამ დროს მართულია სხვა და სხვა ფერის ბაირადები. ბაირადებს ზედ აწვიათ გახთქმულ ფალანგების სახელები.

საქილიო ასპარეზო გამართულია დიდ მოედანზე. გარშემო სკამებია მაყურებლებისათვის ისე, როგორც ცირკში. სკამებზე ბალიშები აწყვილა. იმ ადგილას, სადაც ფალანგები ქილიობენ, წვრილი ქვიშა დაყარა.

ხალხი დიდი ყურადღებითა და აღუღვებით აღევებს თვალს მოჭიდავეთ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ქილიობით აღუღვებული იაპონელი თავის მეზობელს დაუწყებს ხოლმე ქილიობას.

გამარჯვებულ ფალანგს ხალხი აღტაცებული ყვირილით მიეგებება ხოლმე. ზოგი თამაქითი საესე ქილისა ვალაქთ კულას გამარჯვებულ მოჭიდავეს, ზოგი ზევითა ტანსაცმელს. აღუღვებულ იაპონელები ერთმანეთს კუდებსა ჰხდიან, ხელიდან მარაოს ართმევენ და ისერიან მოედანზე. ყველა ის გამარჯვებულ ფალანგს ეუფენის. მოაგროვებს და ფულად აქივებს.

„ივერია“, 1898 წ. 18 ნოემბერი.

მასალები მოამზადა ნულიკო ნუსუპაძემ.

ნატუროპათია — ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობა უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე ფარმაკოლოგიური წამლების გამოყენება. მიაკითხეთ ნატუროპათია საერთაშორისო ასოციაციას. მისამართი: ვაჟა-ფშაველას, 32. ტელეფონი: 39-49-87.

ქვეყნები თანახმანი პრინს. რას იტყვის უფა?

საპარტიკო ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ცნობით 5 თებერვალს გერმანიის ქალაქ ფრაიფურტში შედგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის VII შესარჩევნო კონფერენცია. მონაწილეობა მიიღეს 16 ქვეყნის წარმომადგენელმა. შედეგად, რომლის დროსაც დადგინდა მომავალი თამაშების განრიგი.

გათავაზობთ საქართველოს ერთ-ერთ ნაკრებს მატჩების თარიღებს:

- 1994 წელი**
- 7 სექტემბერი საქართველო — მოლდოვა
 - 12 სექტემბერი ბულგარეთი — საქართველო
 - 16 ნოემბერი საქართველო — უელსი
 - 14 დეკემბერი ალბანეთი — საქართველო
- 1995 წელი**
- 29 მარტი საქართველო — გერმანია
 - 25 აპრილი საქართველო — ალბანეთი
 - 7 ივნისი უელსი — საქართველო
 - 6 სექტემბერი გერმანია — საქართველო
 - 11 ოქტომბერი საქართველო — ბულგარეთი
 - 15 ოქტომბერი მოლდოვა — საქართველო

სფრს პრეზიდენტის ნოლარ ახალციხის ინფორმაციის შედეგად ჩვენი მონაწილე მატჩები გუნდების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს საქართველოს ნაკრებს ეთამაშონ თბილისში, რაც ოქმით გაფორმდა და გაეგზავნა უფას.



სამეგრელო ფეხბურთის უბრუნდება



ცნობილი ამბების შემდეგ საქართველოს ერთ-ერთ უღამეს კუთხეში სამეგრელოში ცხოვრება თანდათან კოლაპსში აღება. ნათქვამის სილუსტრაციოდ ამას წინათ „ლელო“ რედაქციაში ერთი დღის განმავლობაში ამ ზეგონიდან ჩამოსული სტუმრების სიუხვევით გამოვლიყვით.

ჯერ იყო და გვესტუმრა ზუგდიდელთა ჯგუფი „ოლიმპი“ ტექნიკური დირექტორის ჯემალ გოგიას მეთაურობით. უპირველეს ყოვლისა, მათ მივლიყვით გადავიხადეს იმ თანდასწრისთვის, რაც გვეუფრთ კლუბსა და ადგილობრივ მკვლევარებზე (მკითხველს, ალბათ, ასოვს ჩვენი პუბლიკაციები, სადაც ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ ზუგდიდში ერთ-ერთი ჩემპიონატის მატჩების გაამართვა, დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, ერის გამთლიანების პროცესს უთუოდ შეუწყობდა ხელს).

ჯ. გოგიამ გვითხრა, რომ ზუგდიდში მტკიცედ მოკიდეს ხელი პოლიტიკური საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბებას. ამჟამად მას ახალი

პრეზიდენტი ჰყავს — ფეხბურთის დიდი ქობაგი და მეცენატი, ზუგდიდის სარაიონში მორისო პროკურორი დავით ჭკალუა, რომელიც გამგეობის თავმჯდომარის ედიშერ ჩარგაზის ხელშეწყობით ყველა ღონის ხმარობს, რათა კლუბს საჭირო პირობები შეუქმნას ნორმალური სასწავლო-საწვრთნელი საქმიანობისთვის. არსებული სიძველეების მიუხედავად, „ოლიმპი“ თითქმის შეინარჩუნა შარშანდელი შემადგენლობა, გარდა ამისა, მას დაემატნენ ოჩამჩირის „ამირანის“ ფეხბურთელები ბადრი ახვლედიანი და ოთარ ძალამიძე.

V ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისათვის მზადებას გუნდი ადგილზე 10 იანვრიდან შეუდგა, ამ დღეებში კი იგი გაემგზავრება ქობულეთს, სადაც სანატორიუმ „საქართველოს“ მესვეურები შეპირებისამებრ სათანადო მასპინძლობას გაუწყვენ.

სტუმართა გადმოცემით, „ოლიმპის“ მოთამაშეთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა, ორი მათგანი (მანუჩარ კუტალია, კლიმენტი წი-

ტიშვილი) საქართველოს კაბუკო ნაკრების წევრიც არის. შემდეგ სენაკელებიც გვესტუმრნენ — „ეგრიის“ მთავარი მწვრთნელი გულო ოდიშარია და რამდენიმე ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარული. მიუვლოცეთ სენაკელთა საგარნობი წინსვლა (პირველი წრის შემდეგ „ეგრიის“ II ჯგუფის დასავლეთი ზონის ერთპიროვნული ლიდრია).

მოსულთა განცხადებით, „ეგრიის“ მიღწევები ძნელ იქნებოდა კლუბის პრეზიდენტის, სენაკის ხალხების კომპინატ „ეგრიის“ გენერალური დირექტორის კახარუხას გარეშე, რომელიც არსებითად მართავს გუნდის მუშაობას და მთლიან ჰაანს. მათ გულისტყვილი გამოთქმეს რაიონის გამგეობის ინტერულობის გამო, რომელიც ვანზე დგას და ვერაფრით ეხმარება კლუბს. „სენაკს“ აუცილებლად უნდა ჰყავდეს გუნდი პირველ ჯგუფში, ჩვენ ამას მივაღწევთ! — ამ ოპტიმისტური განცხადებით დაგვმორიდნენ სენაკელები.

როგორც ამავე დღეს შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის

ფედერაციაში მოხუცა წაღწევის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, რომელმაც შემოქმედება ადგო, რათა მომავალ ჩემპიონატში კვლავ დაეშვა სასპარტო რაიონის საკლუბო გუნდები. ასეთივე თხოვნა მოდის სფრს-ში ჩხორწყლდან, მარტვილიდან. ფეხბურთი უბრუნდება სამეგრელოს, სამეგრელო კი — ფეხბურთს!

P. S. მასალა მზად იყო დასაბეჭდად, როცა გავიგეთ სამწუხარო ამბავი: გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, სენაკის „ეგრიის“ მთავარი მწვრთნელი გულო (გულო) ოდიშარია.

ყველან, სადაც კი უმუშავია (გურჯაანის „ალახანი“, გალის „მზიური“, ზობის „კოლხეთი“, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი, ჩხორწყლს „სამეგრელო“) განსვენებულმა ნათელი, კეთილი კვალი დატოვა თავისი ენერგიული, მუყითი მუშაობით.

ჯემალ ზიკაშვილი

უნსოეთის ფეხბურთის აუჯაბი

ვიზიტი უბილიანთა

● **მადრიდის „ატლეტიკოს“** გენერალური მენეჯერი მიგელ პილი (კლუბის პრეზიდენტი ჰესუს პილის ვაჟიშვილი) გაემგზავრა მადრიდში, რათა კონტრაქტის თაობაზე მოელაპარაკოს ული შტილიკეს — „სამაქსიდან“ ახლახან გაქვედულ მწვრთელს.

გელფასტში ჩასვლა საუხეშია

● **ირლანდიის** ფეხბურთის ფედერაცია აფრთხილებს გულშემატკივრებს, რომ გელფასტში ჩასვლა საშიშია კრიმინალური სიტუაციის მკვეთრი გაუარესების გამო.

დიდი საკამიო ფონდი

● **გოქიის** ეროვნულმა ლიგამ რეგულარული ჩემპიონატისა და

სტენლის თასის გათამაშების საუკეთესო გუნდებისთვის 7 მილიონ დოლარზე მეტი საპრემიო ფონდი გამოკყო. საპრემია თანხას მიიღებენ გუნდები, რომლებიც თავიანთი შე-



ხედულებისამებრ გაუნაწილებენ პრემიებს მოთამაშეებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საპრემიო ფონდი წინა სეზონთან შედარებით არ შეცვლილა.

ნახტამანს ემუქრებიან

● **„ნიურნბერგის“** ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაათავისუფლოს მწვრთნელი ვილი ენტერმანი. თუ ეს გადაწყვეტილება შესრულდება, ენტერმანი იქნება მეორე მწვრთნელი ბუნდესლიგაში, რომელმაც წლეულს დატოვა პოსტი. მანამდე ასეთი ბედი ეწია „შალკეს“ დამრიგებელს პელმუტ შულტეს.

ორი თვის უფრეა

● **მეიმების** განცხადებით, „იუვენტუსის“ ტრავმირებული მცველი ხულო სეზარი მხოლოდ ორი თვის შემდეგ ჩაღება მწყობარში.

„თანამეგობრობის თასი“ მოსკოვი ღარჩა

„თანამეგობრობის თასის“ პირველი ნახევარფინალური მატჩი სენსაციური შედეგით დამთავრდა: თბილისის „დინამო“ ერთობ დასაინანი მარცხი იწვნია ფერანის „ნეფთისგან“ ანგარიშით 2-3, ხოლო მოსკოვის „სპარტაკმა“, როგორც მოსლოდნელი იყო, აშხაბადის „კოპეტ-დელს“ სძლია — 6-1.

ფინალში, რომელიც 4 თებერვალს შედგა სპორტკომპლექს „ოლიმპისკოში“, მოსკოველებმა იოლად სძლიეს „ნეფთისს“ — 7:0 და „თანამეგობრობის თასი“ ზედიზედ მეორედ დაისაყურეს.

(ციფრები და ფაქტები)

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან

ბრიტანის დასაწყისი

იტალია, 1934 წელი

1932 წელს სტოკჰოლმში, ფინეთის კონგრესზე გადაწყდა მსოფლიოს ჩემპიონატები მოეწყობა 4 წელიწადში ერთხელ. ურუგვაის შემდეგ შეგებრებისათვის ევროპის ქვეყანას უნდა ემსახინდა. არჩევანი იტალიაზე შეჩერდა. გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს პირველმა ჩემპიონმა ურუგვაიმ და ინგლისმა. შეიცვალა ფინალური ტურნირის ჩატარების სისტემა — 16 გუნდი მერვედფუნალიდან ერთმანეთს ოლიმპიური სისტემით ეპაექობოდა. ამ რიგით მეორე გათამაშებაში 29 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ამიტომ საჭირო ვახდა შესარჩევი მატჩების ჩატარება: 12 ჯგუფში გაიმართა 26 შეხვედრა, რომლებშიც 141 გოლი გავიდა. შესარჩევი ტური მიმდინარეობდა 1933 წლის 11 ივნისიდან 1934 წლის 24 მაისამდე.

ფინალური ტურნირი 1934 წლის 27 მაისს დაიწყო, ჩატარდა 17 შეხვედრა, რომელსაც 316000 მაყურებელი დაესწრა (საშუალოდ 18.600 კაცი თამაშზე), გატანილი იქნა 70 გოლი (საშუალოდ ერთ მატჩში 4,11).

II ჩემპიონატის ფინალი: იტალია — ჩეხოსლოვაკია 2-1 (დამატებით დროში, პირითაღ დროში აღინიშნა ფრე — 1-1), რომში, ცენტრალური სტადიონი, 10 ივნისი, 43818 მაყურებელი. მთავარი მსაჯი ივან ეკონიდი (შვედეთი).

იტალია: კომბი, მონცელო, ალემანდი, ფერარისი-IV, მონტი, ბერტოლინი, გუაიტა, მეაცა, სკიავიო, ფერარი, ორსი.

ჩეხოსლოვაკია: პლანიჩკა, ეენი-

შეკი, ჩტირეკი, კომტიალეკი, ჩაბბალი, კრჩილი, იუნეკი, სეობოდა, სობოტკა, ნეელი, პუჩი.

გოლები: პუჩი (73 წ.), ორსი (82), დამატებით დროში — სკიავიო (95).

წინა ჩემპიონატთან განსხვავებით გაიმართა შეხვედრა მესამე ადგილისათვის: გერმანია — ავსტრია 3-2. ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი აღიარეს ჩეხოსლოვაკიელთა უბადლო მეკარე ფანტიშეკ პლანიჩკა, ბომბარდირი გახდა მისი თანაგუნდელი ოლდერუჩ ნეელი, 4 მატჩში — 5 გოლი. პეთ-თორეი შესრულდა სამჯერ: სკიავიო (იტალია), კონენი (გერმანია), ნეელი (ჩეხოსლოვაკია). 17 შეხვედრა იმსახა 7 ქვეყნის 11 არბიტრმა.

სიმბოლური ნაკრები: ზამორა (ესპანეთი), მონცელო (იტალია), კინოსესი (ესპანეთი), მონტი (იტალია), ფერარისი-IV, სილაურენი (ესპანეთი), გუაიტა (იტალია), ორევიერი (ესპანეთი), მეაცა (იტალია), ნეელი (ჩეხოსლოვაკია), ორსი (იტალია).

● იტალიელთა გუნდში გამოირჩეოდნენ გუნდის კაპიტანი, მეკარე კომბი, თავდამსხმელი სკიავიო, იტალიური წარმოშობის სამი არგენტინელი — მონტი, გუაიტა და ორსი. გამარჯვების სულისჩამდგმელი გახლდათ იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ვიტორიო პოცი, მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ჩატარა 95 შეხვედრა: 63 გამარჯვება, 17 ფრე, 15 წაგება, ბურთების სწავობა 233-126.

იტალიელთა დუბლი

საფრანგეთი, 1938 წელი

მსოფლიოში და პირველ რიგში, ევროპაში, დენტის სუნი ტრიალებდა. ფიფას პრეზიდენტი ეიულ რეჟე 1936 წელს ბერლინში კონგრესზე აყენებს წინადადებას მესამე მსოფლიო ჩემპიონატი

1938 წელს ჩატარდეს საფრანგეთში — ევროპის შედარებით მშვიდ ქვეყანაში, თუმცა ჩემპიონატის მასპინძლობის რიგი სამხრეთ ამერიკას, კერძოდ, არგენტინას, ეკუთვნოდა. პარიზში საგანგებოდ განახლდა ორი სტადიონი — „ოლიმპი“ (65 ათასი ადგილი) და „პარკ დე პრენსი“ (35 ათასი). მატჩები ჩატარდა კიდევ სხუთ არანაკლებ კეთილმოწყობილ სტადიონზე. ფრანგებმა ყველა ფინანსური ვალდებულებანი პირადად შეასრულეს, ჩემპიონატმა გაამართლა იმედები — მაყურებელთა დასწრება წინა ჩემპიონატთან შედარებით რეკორდული იყო: მატჩებს ესწრებოდა 500 ათასი გულშემატკივარი. პირველად მსოფლიო ჩემპიონატების რეგულმენტში შეიტანეს შემდეგი სიახლე: მასპინძელი ქვეყანა და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფლდებოდა შესარჩევი მატჩებისაგან. სამხრეთ ამერიკელებმა, გარდა ბრაზილიელებისა, ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადეს.

შესარჩევი ტურნირი ჩატარდა 1937 წლის 16 ივნისიდან 1938 წლის 24 აპრილს ჩათვლით, 29 მონაწილიდან გამოვლინდა 15 ფინანსირი, 11 შესარჩევი ჯგუფში გაიმართა 23 შეხვედრა, გატანილი იქნა 97 გოლი. ფინალური ტურნირი გაიხსნა 1938 წლის 4 ივნისს შვეიცარიისა და გერმანიის მატჩით (1-1).

სულ ჩატარდა 18 შეხვედრა, გატანილი იქნა 84 გოლი (საშუალოდ 4,67). მესამე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა შვედარბეგელი ბრაზილიელი, „შე მარგალიტად“ წოდებული ლეონიდას და სილვა (4 მატჩში 7 გოლი).

პოლონებმა ერნესტ ვილიმოუსკიმ ჩემპიონატის ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრაში (ბრაზილია — პოლონეთი, 6-5) მეტოქის კარში 4 გოლი გაიტანა. ბრინჯაოს მედლები ერგოთ ბრაზილიელებს.

III ჩემპიონატის ფინალი: იტალია — უნგრეთი 4-2 (3-1). პარიზი. სტადიონი „კოლომბი“, 1938 წლის 19 ივნისი, 60000 მაყურებელი.



მთავარი მსაჯი ე. კაბდევილი (საფრანგეთი).

იტალია: ანდრეა, ფონი, რავა, სეზარტონი, ანდრეოლო, ლუკატელი, ბიავატი, მეაცა, პიოლა, ფერარი, კოლაუსი.

უნგრეთი: საბო, პოლგარი, ბიარო, სალი, სიუჩი, ლახარი, შაში, კინცი, ქაშეგლევი, შაროში, ტიტკოში.

გოლები: კოლაუსი (6 და 35 წთ), ტიტკოში (8), პიოლა (16 და 75), შაროში (69).

ჩემპიონატის იდეალური ნაკრები: პლანიჩკა (ჩეხოსლოვაკია), ფონი (იტალია), რავა (იტალია), დომინგოს და გიია (ბრაზილია), ანდრეოლო (იტალია), ლუკატელი (იტალია), ტიტკოში (უნგრეთი), ლეონიდასი (ბრაზილია), პიოლა (იტალია), შაროში (უნგრეთი), კოლაუსი (იტალია).

ფინალური შეხვედრის დამთავრებისთანავე გამარჯვებულთა მწვრთნელმა ვიტორიო პოცი, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოაპოვებინა იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა, „ნიკეს თასით“ ხელში, პათეთიკურად წამოიძახა: „რა უნდა მომეცეს მე ამის მეტი ცხოვრებამ? ახლა შემიძლია დამვიდებულნი მოვკვდე!“ მწვრთნელთან ერთად ორგანის ჩემპიონები გახდნენ გუნდის კაპიტანი მეაცა და ფერარი, ჩემპიონთა გუნდის მშვენიერა იყო ცენტრალური თავდასხმელი სილვიო პიოლა — იტალიური ფეხბურთის ყველა დროის საუკეთესო სწაიპერი.

ჩემპიონატს მოემსახურა 9 ქვეყნის 13 მსაჯი.

გულშემატკივრები იმდენი ელოდებოდნენ მომავალ ჩემპიონატს, მაგრამ იგი მხოლოდ 12 წლის შემდეგ გაიმართა მეორე მსოფლიო ომის გამო.

მიხეილ საპარხაძის მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 8.

ინანუაქები

„საფინანსო-საბაზრო“
დეკაბრონი“

სნაიპერები

უკვე აღაშენებენ მეტი გოლი ერთ ოფიციალურ მატჩში გაიტანა ნორვეგიელმა ფეხბურთელმა ბრეტვილმა. 1927 წელს ნორვეგიის პირველობის ერთ-ერთი შეხვედრაში იგი, 17 გოლის ავტორი გახდა, ბურთები მას საოცარი თანმიმდევრობით, ყოველ 4-5 წუთში გაჰქონდა.

16 ბურთი ერთ მატჩში ორჯერ გაიტანეს საფრანგეთის პირველობაზე. პირველად ეს გააკეთა სტანისმა, რომელიც „ობრი ასტურისაში“ გამოდიოდა, მეორე ასეთივე შემთხვევა კი უკვე „გინესის წიგნში“ აღნიშნულია: 1942 წლის 13 დეკემბერს „ლიონის“ ფეხბურთელმა, პოლანტურის წარმომადგენელმა სტეფან-სტანისმა 1885 წლის 5 სექტემბერს (36-0) ჯონ პეტრიმ 13 ბურთი გაიტანა.

რაც შეეხება სავარაუდოდ შეხვედრებს, აქ რეკორდსმენის წოდებას, ეტყობა, დიდხანს შეინარჩუნებს დანიელი ნილსენი. 1908 წლის ოლიმპიურ ტურნირში, რომელიც ლონდონში გაიმართა, მან ფრანგების კარში 10 ბურთი გაიტანა. მაგრამ ის კვ. ვაუტერბარტი, რაჭამ არის ნილსენთან შედარებით ჩრდილოში მოქცეული გერმანელი გოტიფრიდ ფუტსი. 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებში მან გაიმართა დანიელი თავდამსხმელის რეკორდი, როცა რუსეთის ნაკრების კარში 10 ბურთი გაიტანა. 1923 წელს ინგლისში ერთმანეთს შეხვედრენ კლუბი „კორინთიანის“ და არმიის ნაკრები. „კორინთიანის“ ჯამბარჯვა ანგარიშით 15-2 და 10 გოლის ავტორი გრევიკი გახდა. უკანასკნელი ფეხბურთელი, რომელმაც ასეთივე შედეგი მიიღწია, იყო ვენესუელის „ფეკარასის“ თავდამსხმელი ლეონარდო ასტე.

ზოგიერთი ასეთივე მიღწევა ჩეხოსლოვაკიურ ფეხბურთშიც აღინიშნა. 1982 წელს მესამე ლიგის ერთ-ერთ მატჩში ნენინიევიცა 9 გოლი გაიტანა, მაგრამ; ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელის იოზეფ ბიკანის შედეგი — 9 გოლი „სლავიას“ (პრაღა) და „სპ. პოლხევის“ შეხვედრაში (11-0). 1941 წელს „სლავია“ შეხვდა „ლიონს“, 7 გოლი გაიტანა, ამ შეხვედრაში გოლის ავტორი და თავიდან ერთ ტაიმში, სწორედ ბიკანი იყო.

ბიკანის ამ „ერთობიანობა“ რეკორდმა დაახლოებით 10 წელიწადს გაძლია. 50-იანი წლების დამდეგს ანდრე რაუტანსუმი (იგი შეხვედრაში პრეზიდენტის ოცნებას გამოიხილა „პოლიტექნიკასა“ (ტრიმიშორა) და „სიმერისა“ მატჩში. „პოლიტექნიკა“ გაიმარჯვა ანგარიშით 8-2. ამასთან, რვავე, ბურთი თამაშის პირველ ნახევარში სწორედ რაუტანსუმი გაიტანა. საუკუნის დასაწყისში დიდი მიღწევები ჰქონდა ცნობილ ჩეხ ფეხბურთელს იან კოშეკს. 1911 წელს

პრაღის „სლავისა“ და კლადნოს „სპარტაკ“ შეხვედრაში (11-0) მან 8 ბურთი გაიტანა. იმავე წელს „სლავიაში“ სასტიკი მარცხი აგვიმე ვენის „ფირსტს“ (11-0), კოშეკმა ამჯერად 6 გოლი „იგმარა“. ეს თავდამსხმელი 1903-08 წლებში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გახლდათ, მას ყოველ თამაშში გაჰქონდა ბურთი, ყოველ მეორე მესამე მატჩში კი ერთ გოლზე მეტი. ვენის „კრიკეტ-კლუბთან“ შეხვედრაში, რომელიც „სლავიაში“ სტუმრად გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 4-0, ოთხივე გოლი სწორედ კოშეკის ანგარიშზე იყო. ეს 1906 წელს მოხდა. ამავე სეზონში პრაღას ეწვია გლაზგოს „სელტიკი“ (3-3), სამივე ბურთი, დანიელი მისახვედრია, რომელიც გაიტანა. იმ ხანებში „სლავიაში“ ინგლისის ცნობილ კლუბ „საუთჰემპტონსა“ (სლია) (4-0), განთქმული სნაიპერი ამჯერად სამი გოლის ავტორი გახდა. 1911 წელს, ორი წლით ადრე, სანამ თავის ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერას დაამთავრებდა, მას უკვე 700 ბურთი ჰქონდა გატანილი. იყო ერთი სეზონიც, როცა, ამ შესანიშნავმა ოსტატმა; არც მეტი, არც ნაკლები, 135(1) ბურთი გაიტანა.

ერთ მატჩში 7 გოლის ავტორია განთქმული ინგლისელი ფორვარდი ტედ დრეიკი. ეს მოხდა 1935 წელს „არსენალის“ და „სტოკვილას“ მატჩში (7-1). საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში ტ. დრეიკმა სულ რვაჯერ დაარტყა კარში და გატანილი გოლებიდან ერთადერთი მისთვის მოახვედრა ბურთი. 1983 წელს პრაღის „სპარტაკ“ საკონტროლო მატჩს ეთამაშებოდა ქ. დუხეცის კლუბს (18-0). ამ შეხვედრაში გრევიკმა 7 ბურთი გაიტანა. ჩეხოსლოვაკიის „სპარტაკ“ მიმე მარცხი (8-1), ავგუმა პლხევის „ვიქტორიას“, 7 გოლი ჰაიკმა გაიტანა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ჰორას პრაღის „სლავისა“ და „ლიბენის“ კალენდარულ მატჩში (1938-39 წლებში სეზონი), რომელიც „სლავიაში“ მოიგო ანგარიშით 9-2.

ახლა იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც ერთ მატჩში 6 ბურთი გაიტანეს. მათი რიცხვი საქმაოდ დიდია.

ფერნანდო მენდოს სორაგე გომეში, „პორტუს“ ფეხბურთელი, 1982-83 წლების სეზონში 36 გატანილი გოლით ყურნალ „ფრანს ფუტბოლის“ პრიზის „ოქროს ბურთი“ მფლობელი გახდა. ემესი ბურთი მან 1976 წელს პორტუგალიის ჩემპიონატში გაიტანა ლისაბონის „ატლეტიკოსთან“ და სწორედ მაშინ გახდა ამ 6 გოლის წყალობით პორტუგალიის № 1 სნაიპერი.

რა თქმა უნდა, მეტი მნიშვნელობა ჰქონდა შაროზის 6 დუბლეტერ გოლს, მით უმეტეს, რომ კარს ლეგენდარული პაზინჯა იცავდა. ეს მოხდა 1937 წელს უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩში, რომელიც უნგრელებმა მოიგეს ანგარიშით 8-3.

იშვიათი შედეგანობით გამოირჩეოდა სლოვაკი თავდამსხმელი იოზეფ ადამეცი. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც თვითმფრინავში არასო-

დეს ჯდებოდა და ამით თავის გუნდს დიდ პრობლემებს უქმნიდა. ჩეხოსლოვაკიის 1963-1964 წლებში ჩემპიონატში მისმა გუნდმა, ბრატისლავის „სლოვანმა“ ანგარიშით 8-0 სძლია „ტრინეტს“, აქედან 6 ბურთი ადამეცმა გაიტანა. ვის არ ასოვს ის 3 გოლი, რომლებიც ადამეცმა 1968 წელს ბრატისლავაში ბრაზილიელებს გაუტანა. 1970 წელს მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეხვედრაში იგი 3 გოლის ავტორი გახდა ირან-დიეგო მთან შეხვედრაში. ადამეცის სლოვაკი წინამორბედებს შორის უნდა დავასახელოთ ჟიქტორ ტეგელპოდი და ანტონ ბულა. 1943-44 წლების სეზონში სლოვაკეთის პირველობაზე „სკ ბრატისლავა“ ანგარიშით 12-0 მოუგო „ზვოლენს“, აქედან 6 ბურთი ტეგელპოდის ანგარიშზეა. ბრატისლავის გუნდს იმ სეზონში საერთოდ არა ჰყოლია კონკურენტი. მოგვეხსენოთ მისი მატჩების შედეგები რამდენიმე გუნდთან: „კრუტკასთან“ 15-0, „სიმონოვთან“ 14-0, „ქილინსთან“ და „რუჟომბერკთან“ — 8-0. როცა „სკ ბრატისლავა“ სძლია „პოვაჟსკა ბისტრიცას“ 9-2, ემეს ბურთი ტეგელპოდმა გაიტანა. საყურადღებო იყო გუნდის ბურთების შეფარდება ჩემპიონატის ბოლოს — 121-34.

6 გოლი „სკ ბრატისლავას“ სხვა ფეხბურთელმა — ანტონ ბულამ ჯერ კიდევ მოამდებ გაიტანა. 1935-36 წლების სეზონში გუნდი ახანგურ შეხვედრას მართავდა „ბერნოლკთან“, პირველი ტიმის შემდეგ ანგარიში იყო 1-1, მაყურებლები ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ, მიანდათ, რომ მათი გუნდი სუსტად თამაშობდა. ბულს შესანიშნავი სნაიპერის რეპუტაცია ჰქონდა და არც ისტინა არ იტყვის — მაყურებლებს მე დავაშვებებ, იმდენ გოლს გავიტან, რამდენიც უნდა. მატჩის საბოლოო ანგარიში იყო 7-1. ეს დასაჩინებ 6 ბურთი მართლაც ბულამ გაიტანა.

6-6 გოლი ერთ მატჩში გაიტანეს ჰაიკმა, ბრადამმა, პერკმა, ბიკანმა, სენეცკიმ, პრადამ და მარტინეკმა.

6 გოლი ერთ მატჩში ცნობილმა ბელგიელმა თავდამსხმელმა, 1980 წელს „ოქროს ბურთის“ მფლობელმა ერენ ვანდერბერგმა გაიტანა. მაშინ იგი 21 წლისა იყო, ეს მოხდა ბელგიის 1979-80 წლების ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „ჰასელტთან“, ბოლო ტურში ვანდერბერგმა ამას კიდევ ორი ბურთი დაამატა და ამრიგად დაეუფლა „ოქროს ბურტს“, სულ მის აქტივში 39 გოლი იყო.

დაახლოებით იმავე დროს, როცა ვანდერბერგს გოლი ვოლზე გაჰქონდა, ნიუ-იორკის „ჯოკოსის“ დიდი წარმატებით გამოდიოდა იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ჯორჯო კინალია. „ჯოკოსის“ „რეტუსას“ მატჩში იგი 6 გოლის ავტორი გახდა.

ერთ თამაშში გატანილი 5 ბურთით შეუქმლია იამაყოს განთქმულმა პოლანდიელმა იოჰან კრუიფმა. მაშინ იგი ამსტერდამის „აიაქსის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო და გამოცდილი ოსტატების შარდამხარ თამაშობდა. ეს მან გააკეთა 1966 წლის ოქტომბრის ერთ თამაშის ისეთ სახელოვან გუნდთან, როგორც „ლივერპული“ გახლავთ. მარტო ვან ბასტენმა, რომელიც „აიაქსში“ კრუიფი შეევალა, 1984 წელს უეფას თამის გათამაშების პირველ ტურში ასევე 5 ბურთი გაიტანა ლუქსემბურგის „რედ ბოისთან“.

1983 წელს ინგლისის პირველი

ლიგის მე-11 ტურში ორმა სნაიპერმა დიდად გამოიხილა თავი. „ლივერპული“ თავდამსხმელმა იან რაშმა გოლები გაიტანა პირველ, მე-5, 36-ე, 55-ე და 88-ე წუთებზე, ზოლო ლონდონის „არსენალის“ ფორვარდმა ტომი უილკინსმა მე-4, მე-10, 35-ე, 38-ე და 48-ე წუთებზე. მიმომხილველებმა მაინც ვუილკინსს 5 გოლი ამგობინეს თუნდაც იმტომ, რომ ისინი უფრო მოკლე დროში, სულ 48 წუთში გავიდა.

5 გოლი საბჭოთა კავშირშიც გაუტანა. 1938 წლის 16 იანვარს ლენინგრადის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ შეხვედრაში ეს გააკეთა ლენინგრადელი ეგვიეი. შედეგინმა (მატჩი დამთავრდა ანგარიშით 6-0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ).

შედეგინის ეს რეკორდი შემდეგ ქართველმა ფეხბურთელმა ილია დათუნამიტანა და გონა გავაშვილმა (თბილისის „დინამო“) გაიმტორეს, ამასთან, დათუნამიტანმა ეს 5 ბურთი ერთიანად „არარატის“ მეკარეს ერთ ტაიმში გაუტანა.

სნაიპერის შესანიშნავი თვისებები ჰქონდა „კლადნოს“ თავდამსხმელს ფრანტიშეკ კლოცს. მის მიერ გატანილ 5 გოლს საქმაოდ საინტერესო წინასტორია ჰქონდა. 1933 წელს იგი პრაღის განთქმულ „სპარტაკში“ გადავიდა, მაგრამ ამ გუნდის ფეხბურთელები სულმთავანელობის ამ ნაბიჯს არ დაეთანხმნენ და თამაშის დროს კლოცს ზანგასულად იყენებდნენ, ასეთ პირობებში კლოცი, ვასაგებია, თავს ვერ გამოიჩინდა, ითმბა, ითმბა და ისევ „კლადნოში“ დაბრუნდა. და იი. 1934 წელს პრაღის „სპარტაკ“ ეწვია „კლადნოს“, სასტიკად წააგო 1-5 და ეს ხუთივე ბურთი სწორედ ფრანტიშეკ კლოცმა გაიტანა.

1938 წლის სეზონში 5 გოლი ერთდებ ბრადამმა გაიტანა. ეს მოხდა პრაღის „სლავისას“ და „სკ ბრატისლავას“ მატჩში (8-0).

თუ მოხარულია შეკიბრებებზეც გადავხედოთ, ამ, ცხადია, ძალზე მეტია გოლი გადის ნილსენი, ასე, გოლითავე; შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი გერდ მიულერი „რუსე 1860 ნორდინგენში“ რომ გამოდიოდა, ბავშვობიდანვე დიდ ყურადღებას იპყრობდა. ერთ მატჩში მან 22 გოლი გაიტანა. ბელგიის ნაკრების წევრმა, ტომით იტალიელმა ვინჩენცო შიფომ, რომელიც 8 წლისა „ლა ლუვიერის“ ბავშვთა გუნდში თამაშობდა, ერთ მატჩში მეტრქის ბაღში 12 ბურთი გაახვია. ამდენი არა, მაგრამ 7 ბურთი ერთ მატჩში ბავშვობაში მარკო ვან ბასტენსაც გაუტანია. ამდენივე გაიტანა ერთხელ ყმაწვილმა იოზეფ ადამეცმა.

რა თქმა უნდა, სტატისტიკოსებმა 11-მეტრიანი დარტყმებით გატანილი გოლებიც უნდა გაითვალონ. სწორია, ზოგჯერ ასეთი დარტყმა საერთოდ დაუეფიყარი ჩდება. პენალტების შემდეგ ლონდონის კლუბ „ჰესტ“ მეტი ონიაიტლის მცველი არტური უნდა ჩაითვალოს: მან ინგლისის ლიგაში 55 პენალტი დაარტყა და ყველა გაიტანა; ასეთივე წარმატება ჰქონდა მის თანამემამულეს, სანდერლენდის — ფეხბურთელს ჯეკ მორდუეს — 1901 — 14 წლებში იგი სისტემატურად არტყამდა 11-მეტრიანებს (სუსტად არ ვიცი, რამდენს) და ერთიც არ გაუფუჭებია.

სლოვაკურიდან თარგმანა

ბივი ბაზრამაღმა.

(გაგრძელება იქნება)

კვლავს პირველი უბაფი გრაფი

წარმატებით დაიწყო წლებიანი სპორტული სეზონი მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა შტეფი გრაფმა (გერმანია). ავსტრალიის ღია ჩემპიონატში „გამაყვების“ შემდეგ მან, ასევე დამაჯერებლად ითამაშა იაპონიის დიდ საერაშორისო ტურნირში (საპროზო ფონდი 750 ათასი დოლარი), ფინალში დაამარცხა მარტინა ნავრატოლოვა (აშშ) ანგარიშით 6:2, 6:4 და პირველ პრიზს დაეუფლა.

უკვე ერთი წელია რაც გრაფს, ფაქტობრივად, არ წაუგია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ტურნირი. შარშან მოიგო საფ-

რანგეთისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატები, უიმბლდონი და წლებიანი ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შეგახსენებთ იმასაც, რომ „დიდი სლემის“ ტურნირებში გრაფს მოპოვებული აქვს 15 გამარჯვება, მათ შორის ავსტრალიის ღია ჩემპიონატებში — 4 (1988, 89, 90, 94), საფრანგეთის ღია ჩემპიონატში — 3 (1987, 88, 93), უიმბლდონზე — 5 (1988, 89, 91, 92, 93) და აშშ-ს ღია ჩემპიონატში — 3 (1988, 89, 93).

ბოლო კლასიფიკაციით მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელს შტეფი გრაფს 4292 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ არანტა სანჩესს მთელი 3629 ქულით უსწრებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მონიკა სელემს, რომელიც ტრავმის გამო ჯერაც არ მონაწილეობს შე-



შტეფი გრაფი

შობილებში, მხოლოდ მე-18 შედეგი აქვს — 766 ქულა.

რამდენიმე, მონაცემი გრაფის *ბიოგრაფიულად: დაიბადა 1969 წლის 14 იანვარს ბრიულში (გერმანია), ცხოვრობს იქვე. თამაშობს მარჯვენა ზელოთ. სიმაღლე 176 სმ, იწონის 59 კგ-ს. პროფესიონალის სტატუსი მიიღო 1982 წელს, რამდენჯერმე იყო მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი (უწყვეტი სერია 1987 წლის 17 აგვისტოდან 1991 წლის 10 მარტამდე).

სპორტული ტელეკარანი
საპარტოველო
11 თებერვალი. 19.20. საკალაგ-ბურთო მიმონილვა.
„ოსტანკინო“
10 თებერვალი. 18.30. ფეხბურ-

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ბაჩრაილიაძე